

საქართველოს
დაპოზიტიზაციის სააგენტო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2019 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

ოქტომბერი, 2019 წელი

სარჩევი

მიმოხილვა	3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები	3
პორტფელის მართვა	6
ზღვრის ახალი ოდენობის განსაზღვრა	7
კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება	8
მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისია.....	9
მიმდინარე საკითხები.....	9

მიმოხილვა

2019 წლის მესამე კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საქმიანობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარიმართა: სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით განისაზღვრა ზღვრის ახალი ოდენობა (15 000 ლარი) - გადაწყვეტილება ძალაში 2020 წლის 1 ივლისიდან შევა; მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები სისტემაში იურიდიული პირების დასამატებლად; დასრულდა მართვის საინფორმაციო სისტემის პირველ ნაწილზე მუშაობა და ინტენსიურად მიმდინარეობს მეორე მოდულის დარჩენილი სამუშაოები; სააგენტოში განხორციელდა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის მორიგი ვიზიტი.

ასევე, ჩატარდა კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსთვის მიწოდებული ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება 2 კომერციულ ბანკში.

დაიწყო მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის საშუალოვადიან სტრატეგიაზე; შედგა კომუნიკაცია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოსთან ზღვრის ახალი ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2019 წლის ივლისის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 26 015 932 620 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 14 158 518 128 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 817 934 135 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 437 695 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2019 წლის აგვისტოს შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 26 280 736 601 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 14 253 030 650 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 810 035 086 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 444 454 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 26 530 321 369 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 14 436 420 462 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 838 251 333 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 464 383 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვეურად 1.18%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 3.93%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.63%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისის და ივლისის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად 4.46% და 4.09% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მორდ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	ივლ.19	აგვ.19	სექ.19	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23,90	23,60	23,75	23,98	24,09	25,04	25,70	26,02	26,28	26,53	
თვიური ცვლილება, %		-1,27	0,64	0,99	0,46	3,93	2,65	1,23	1,02	0,95	1,18
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12,50	12,22	12,43	12,50	12,75	13,32	13,66	14,16	14,25	14,44	
თვიური ცვლილება, %		-2,21	1,66	0,57	2,01	4,46	2,54	3,68	0,67	1,29	1,63
დაზღვეული დეპოზიტები	1,75	1,64	1,67	1,65	1,71	1,73	1,75	1,82	1,81	1,84	
თვიური ცვლილება, %		-6,10	1,59	-1,15	3,43	1,29	1,03	4,09	-0,43	1,56	0,59

2019 წლის მეორე და მესამე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მესამე კვარტლის ბოლოს, წინა კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 3.23%-ით, ფიზიკური პირის დეპოზიტები - 5.71%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 5.25%-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	ივნ.19	სექ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	25,70	26,53
კვარტალური ცვლილება, %	-	3,23
ფიზიკური პირის დეპოზიტები	13,66	14,44
კვარტალური ცვლილება, %	-	5,71
დაზღვეული დეპოზიტები	1,75	1,84
კვარტალური ცვლილება, %	-	5,25

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2019 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 17%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 22.18%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 12.57%-ით გაიზარდა (ცხრილი #3).

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	სექ.18	სექ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	22,68	26,53
კვარტალური ცვლილება, %	-	17,00
ფიზიკური პირის დეპოზიტები	11,82	14,44
კვარტალური ცვლილება, %	-	22,18
დაზღვეული დეპოზიტები	1,63	1,84
კვარტალური ცვლილება, %	-	12,57

2019 წლის იანვარი-სექტემბრის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (4.01%) მიმდინარე წლის მესამე კვარტალში დაფიქსირდა და ივლისის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 1 437 695 ლარი შეადგინა (ცხრილი #4).

ცხრილი 4. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	ივლ.19	აგვ.19	სექ.19	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	1,39	1,31	1,33	1,32	1,37	1,37	1,38	1,44	1,44	1,46	
თვიური ცვლილება, %		-5,50	1,25	-0,78	3,46	0,11	1,14	4,01	0,47	1,38	0,61

2019 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა მეორე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 5.65%-ით (ცხრილი #5), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 11%-ით აღემატება (ცხრილი #6).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	ივნ.19	სექ.19
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	4,11	4,35
კვარტალური ცვლილება, %	-	5,65

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	სექ.18	სექ.19
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	3,92	4,35
კვარტალური ცვლილება, %	-	11,00

2019 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 96% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 12,73%. დაზღვეული დეპოზიტების 63% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 37% - უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2019 წლის მესამე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 4 346 533 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2019 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე ოთხი განაცხადი გააკეთა, საიდანაც ყველა განაცხადი დაკმაყოფილდა.

2019 წლის 13 აგვისტოს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 2 059 754,47 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 2 045 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 6,700%-ია.

2019 წლის 10 სექტემბერს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესასყიდად ორი განაცხადი განახორციელა, სადაც თითოეული განაცხადში ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება 1 000 000 ლარს შეადგენდა. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის სარგებელი 7,150% და 7,200%-ია, რისთვისაც შესაბამისად 1 004 677,56 და 1 003 837,72 ლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა. ხოლო 24 სექტემბერს სააგენტომ 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 845 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 7,700%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 841 133,54 ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

ზღვრის ახალი ოდენობის განსაზღვრა

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სააგენტომ მოამზადა ზღვრის გადახედვასთან დაკავშირებული ანალიზი და წინადადება. ზღვრის ოდენობის და სადაზღვევო პრემიის განაკვეთების განსხვავებული კომბინაციების რამდენიმე სცენარიდან, სამეთვალყურეო საბჭოსა და კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, შეჯერდა ოპტიმალური გადაწყვეტილება. აღნიშნული გულისხმობს ზღვრის ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს დეპოზიტორთა უმრავლესობის სრულ დაცვას და მეორე მხრივ განაპირობებს სისტემის საიმედოობის და ეფექტიანობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ საბანკო სფეროში არსებული ზოგადი სტაბილური ვითარება და დადებითი დინამიკა იძლევა ფონდის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის რამდენიმე წლით გადავადების შესაძლებლობას.

ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული პოზიციით, ზოგადი ეკონომიკური სურათის, საბანკო სექტორში არსებული ვითარების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ზღვრის ოპტიმალურ ოდენობად ამ ეტაპისთვის 15 000 ლარი განისაზღვრა. გადაწყვეტილება ძალაში 2020 წლის 1 ივლისიდან შევა. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის განაკვეთი კანონით განსაზღვრული მაქსიმალური 0.067%-დან 0.03%-მდე შემცირდება. განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილება განპირობებულია საბანკო სექტორისთვის ცვლილების ეფექტის შემსუბუქების მიზნით.

ზღვრის ოდენობის 15 000 ლარამდე გაზრდა წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს დაფარვის გასაუმჯობესებლად; ამავდროულად, ხელს შეუწყობს სისტემის სანდოობის და ფინანსური უსაფრთხოების კუთხით დეპოზიტების დაზღვევის მნიშვნელობის ზრდას.

აღნიშნული გადაწყვეტილება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, ეცნობა ასოცირების საბჭოს, რითაც ქართულმა მხარემ შეასრულა საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულება.

კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უფლებამოსილია „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაცია გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკების გარე აუდიტორების მეშვეობით“. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცედურულად გამართვის მიზნით, შემუშავდა და სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 10 იანვრის ბრძანება #2-ით დამტკიცდა „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების წესი“.

გადამოწმების 2019 წლის გეგმის შესაბამისად, მესამე კვარტალში გადამოწმება 2 კომერციულ ბანკში ჩატარდა. პროცესში მონაწილეობდნენ სააგენტოს ფინანსური ექსპერტი, ანაზღაურების ექსპერტი და საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების წარმომადგენელი.

შემოწმდა ბანკების მიერ სააგენტოსთვის მიწოდებული ყოველთვიური ანგარიშგების შედგენის პროცესის, ლოგარითმის სიზუსტე და შესაბამისობა „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციით განსაზღვრულ პირობებთან. ყურადღება გამახვილდა ასევე

მონაცემთა ბაზების სიზუსტეზე, საბანკო ბიზნეს-პროცესის გამართულობაზე და მასში ავტომატური გადამოწმების მექანიზმების არსებობაზე.

გადამოწმების შედეგების შესახებ ეროვნული ბანკის თანამშრომელთან კოორდინაციით მომზადდა ანგარიში, რომლის შემაჯამებელ დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემოწმებული ბანკების მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებითი ხარვეზები არ არის გამოვლენილი და ფორმა 1/2/3-ის შედგენის პროცესი შეესაბამება ინსტრუქციის მოთხოვნებს. ანგარიში გაიგზავნა შესაბამის კომერციულ ბანკებთან.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისია

2020 წლის მესამე კვარტალში სააგენტოს მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისია ეწვია, რაც მიმდინარე წელს რიგით მეორე ვიზიტი იყო. მისიის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ექსპერტის ჩართულობით მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: 1) ექსპერტი გაეცნო მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავების პროცესს და მიმდინარე ვითარებას, წარმოადგინა საკუთარი დასკვნები და რეკომენდაციები. ასევე, გამოითქვა მზადყოფნა, რომ პროგრამის მეორე მოდულზე მუშაობის პროცესში გაიმართოს ვიდეო-კონფერენციები და საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმოს დამატებითი ვიზიტი; 2) შემუშავდა კრიზისის-მენეჯმენტის პოლიტიკის დოკუმენტის ჩარჩო-პროექტი. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით არის განსაზღვრული; 3) დაიწყო მუშაობა სააგენტოს განვითარების სტრატეგიაზე. ჩამოყალიბდა ოთხი ძირითადი მიზანი მომდევნო 3 წლისთვის - მათგან გამომდინარე ამოცანები და აქტივობები განისაზღვრება განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

მიმდინარე საკითხები

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს სისტემაში იურიდიული პირების ჩართვას. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო და ის

ძალაში 2020 წლიდან უნდა შევიდეს. დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვით ქართული მხარე ევროდირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებას შეასრულებს.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემის ანაზღაურების მოდულზე. ყოველთვიური ანგარიშგების მოდულზე ამ დროისთვის მუშაობა უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს მისი ტესტირება.

სააგენტოში პირველად განხორციელდა გარე აუდიტი. აუდიტის დასკვნა 2019 წლის მეოთხე კვარტალში იქნება ცნობილი.